

ქ.თბილისი

2019 წლის 18 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 18 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა უფროსის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის ოქმი, მთავარი მსაჯის გ. ლემონჯავას მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 13 სექტემბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, თბ „ლელო“-სა და მარნეულის „არმაზი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლელო“-ს მორაგბე დათო გველესიანი უხეში თამაშისათვის (იდაყვით კონტაქტი სახეში), გამევეებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.
2. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე შაკო ჯინჭარაული ორი ყვითელი ბარათის შემდეგ ( უხელო ბოჭვა ორჯერ) გამევეებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 291. პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ თბ „ლელო“-ს მორაგბეს დ. გველესიანს და მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბეს შ. ჯინჭარაულს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/